

## ნატო ბენდელიანი - გზა თაგილონიდან ზუგდიდამდე

ჯერ კიდევ შვიდი წლის წინ ნატო დაწყებითი კლასის მასწავლებელი იყო. იმ დროისთვის ოფიციალური სკოლა არ არსებობდა და მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად იძულებულნი იყვნენ სასწავლოს პროცესი მიტოვებულ შენობაში წარემართათ. ნატო ყველაფერს აკეთებდა, რათა ბავშვებს საშუალო განათლება მიეღოთ. დროთა განმავლობაში მათ გაუმართლათ. დაწყებითი კლასის მასწავლებელი სკოლის დირექტორი გახდა. ბავშვებს შენობა გადასცეს, სადაც შეეძლოთ სწავლა კომფორტულ და თბილ გარემოში გაეგრძელებინათ.

იმისთვის, რომ იმუშაოს და ბავშვებს ასწავლოს, ნატოს ყოველდღე თაგილონიდან, კონფლიქტის ზონიდან ზუგდიდში გადასვლა უწევს. სწორედ ამის გამო ბავშვებს ის უყვართ, ხოლო თანამშრომლები პატივს სცემენ. დღესდრეობით ყოველდღე კონფლიქტის ზონის დატოვებას ბევრი ვერ გარისკავს.

"აფხაზეთის #1 სკოლა" - ასე ქვია სასწავლებელს, რადგან აქ ბავშვები აფხაზეთიდან, ძირითადად კი გალიდან, სწავლობენ.

ნატოს ერთ-ერთი თანამშრომელი სოფო ყვება: "მიუხედავად იმისა, რომ ნატო 50 წლისაა, იგი მამაცი და ჭკვიანი ქალია. ის ერთადერთია, რომელიც ყოველდღე ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოდის, რათა ბავშვებს საშუალო განათლება მისცეს. არ არსებობს, რომ სამსახური გააცდინოს. ასეთი დირექტორები ძალზედ ცოტა არსებობს. მოხარული ვარ, რომ თანამშრომლები ვართ. იგი მარტო მოსწავლეებს ხომ არ ასწავლის, ის ჩვენც გვაძლევს მაგალითს."

ჩემთვის ნატო ლიდერი ქალია. ბევრს დაეზარებოდა ყოველდღე საზღვრის გადაკვეთა, საბუთების ჩვენება და უსწორმასწორო გზებზე სიარული. ეს მას საერთოდ არ აღელვებს, მას ხომ ძალიან უყვარს მისი საქმე.

ნატო ბენდელიანი - ქალი, რომელიც ყოველდღე თაგილონიდან ზუგდიდში გადადის.

ქალი, რომელსაც უყვარს საკუთარი პროფესია.

ქალი, რომელიც დაახლოებით 10 წელი სკოლაში მუშაობს.

ქალი, რომელსაც სირთულეები არ აშინებს.

ქალი- ლიდერი!

**თამუნა ჯანჯულია**

## **Нато Бенделияни . Дорога из Тагилони в Зугдиди**

Еще 7 лет назад Нато была учительницей начальных классов. Тогда официальной школы не было и дети вместе с учителями вынуждены были учиться в заброшенном здании. Нато делала все, чтобы дети получили среднее образование. Со временем удача им улыбнулась. Учительница начинающих классов стала директором школы. Детям дали здание, где они могли учиться с комфортом и теплом.

Нато из Тагилони, и каждый день чтобы работать и учить детей , она переходит из конфликтной зоны в Зугдиди. За что дети ее любят, а сотрудники уважают. Ведь не мало осталось добра на земле, и не каждый рискнет покинуть конфликтную зону каждый день.

«Абхазская 1 школа». Так она называется, потому что учатся там дети из Абхазии, а в основном из Гали.

Одна из сотрудниц Нато, Софо рассказывает: «Не смотря на то, что Нато 50 лет, она храбрая и умная женщина. Она одна такая, которая каждый день приезжает из оккупированной территории, чтобы дать детям среднее образование. Не было такого дня, который бы она пропустила. Таких директоров очень мало. Я рада , что мы сотрудники. Ведь она учит не только детей , но и дает нам пример.»

Для меня Нато- женщина лидер. Многим бы было лень каждый день переходить границы , показывать документы и ходить по неровным дорогам. И это ее совсем не беспокоит , ведь она любит свою работу.

Нато Бенделияни – женщина, которая каждый Божий день из Тагилони переходит в Зугдиди.

Женщина , которая любит свою профессию юююю.

Женщина, которая примерно 10 лет работает в школе .

Женщина, которой не страшны препятствия.

Женщина – Лидер!

**Тамар Джанджулия**